საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. ნოემბრის 25. № 28 ტფილისი

შინაარსი

მრეწველობა.

169. საქართველოს სსრ ელექტრომომმარაგებელი სისტემის დატვირთვის მოწესრიგებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

170. სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმოწყობის ინსტრუქციის გაუქმების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

171. 1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის დამზადების გეგმის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

172. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე კურორტთა სამმართველოს კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაქირავების საფუძვლების შესახებ.

განათლება.

173. „საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

174. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სალხო კომისარიატისათვის საქართველოს სსრ ხელმწიფო სამედიცინო გამომცემლობის—„სახმედგამის“ დაარსების ნებართვის მიცემის შესახებ.

175. მედიკამენტების ვაჭრობის შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა.

176. საქართველოს სსრ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სასწავლო-წარმოებრივ საწარმოთა და წარმოებრივ საწარმოთა სამმართველოს ლიკვიდაციის შესახებ.

177. ომისა და სამხედრო სამსახურის ინვალიდებისა, მათთან გათანაბრებულ პირებისა და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ომისა და სამხედრო სამსახურის ინვალიდებისა, მათთან გათანაბრებული პირებისა და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

178. სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერებით კოლექტიური მეურნეობების წინააღმდეგ გადახდევინების გაუქმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

169. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ელექტრო-მომმარაგებელი სისტემის დატვირთვის მოწესრიგებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

1935/36 წლის შემოდგომა-ზამთარში წყალკლებით გამოწვეული, საქართველოს სსრ ელექტრო-მომმარაგებელი სისტემის მიერ მისაწოდებელი ელექტროენერგიის დროებითი დეფიციტის გამო, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, ამ პერიოდში ელექტრო-ენერგიის მოხმარების მაქსიმალურად შემცირებისათვის ადგენს:

1. ნება დაერთვას საქალაქო საბჭოებს, დაწყებული 1935 წ. ოქტომბრის 1-დან, დააწესონ 1935-37 წლის წყალკლების მთელი პერიოდის განმავლობაში საქართველოს სსრ ელექტრო-მომმარაგებელი სისტემიდან ელექტრო-ენერგიის მოსარგებლე ყველა აბონენტისათვის ამ ენერგიის მოხმარების შემცირებული თვიური ნორმა 50%-მდე ბინებსა, საერთო-საცხოვრებლებსა, დაწესებულებებსა, სავაჭრო სადგომებსა, სასწავლებლებსა, სანახაობითს საწარმოებსა, სასტუმროებსა, რესტორანებსა და სასადილოებში და სხვა მისთ.

2. სათანადო საქალაქო საბჭოს მიერ განსაზღვრული შემცირებული ნორმის ზედმეტად მოხმარებული ელექტროენერგიისათვის დაწესებულ იქნას შემდეგი გადიდებული ტარიფი:

ა) ნორმალური განაკვეთი ერთი-სამად გადიდებული რაოდენობით—ბინებში მცხოვრები აბონენტებისათვის;

ბ) ნორმალური განაკვეთი ერთი-ხუთად გადიდებული რაოდენობით—ყველა სხვა აბონენტისათვის.

3. აიკრძალოს ზემოაღნიშნული პერიოდის განმავლობაში:

ა) ყოველგვარი სათბობი ელექტრონული ხელსაწყოს (ღუმელი) გამოყენება, რა ძალოვნებისაც უნდა იყოს იგი, და სხვა ხელსაწყოს გამოყენება, რომლის ძალოვნებაც 600 ვატს აღემატება;

ბ) ყოველგვარი სარეკლამო და დეკორაციული განათების გამოყენება, როგორც სავაჭრო სადგომებში, ისე თეატრებსა, კინოებსა, კლუბებსა და სხვა დაწესებულებებში.

შენიშვნა. სავაჭრო საწარმოთა ვიტრინების განათებისათვის ნებადართულ იქნას გამოყენება: დიდი ვიტრინებისათვის—ნათურები საერთო ძალოვნებით არა უმეტეს 100 ვატისა, ხოლო მცირე ვიტრინებისათვის—არა უმეტეს 50 ვატისა.

4. ნება დაერთვას საქალაქო საბჭოებს წყალკლების პერიოდში გადაიყვანონ ყველა ქვემდებარეობის სამრეწველო საწარმონი ერთცვლად მუშაობაზე.

შენიშვნა. ამა დადგენილების ეს მუხლი არ ვრცელდება იმ საწარმოებზე, რომლებიც მთელი დღე-ღამის განმავლობაში იყენებენ ენერგიას, მათი მუშაობის ხასიათის გამო, როგორიცაა: ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო, პურის ცხობა, წყალსადენი და სხვა მისთ.

5. ტფილისის საქალაქო საბჭოს მიერ წარმოდგენილი საავარიო გრაფიკი (აბონენტების თანამიმდევრობით გამორთვის ნუსხა) დამტკიცებულ იქნას.

6. წინადადება მიეცეს ყველა იმ სამრეწველო საწარმოს, რომელიც საქართველოს ელექტრო-მომმარაგებელი სისტემის ელექტროენერგიას იყენებს, შეამციროს ენერგიის მოხმარება მინიმუმამდე.

წინადადება მიეცეს ამ საწარმოთა ადმინისტრაციას—შეუთანხმოს ერთი დეკადის ვადაზე ელექტროენერგიის განმანაწილებელ ორგანიზაციებს ღონისძიებანი, რაც საჭიროა ელექტოენერგიის რაციონალურად და ეკონომიურად ხარჯვისათვის.

7. ამა დადგენილებაში აღნიშნული წესების აღუსრულებლობა ან დარღვევა გამოიწვევს:

ა) დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ—ჯარიმას 1.000 მანეთამდე ან იძულებით მუშაობას ორ თვემდე, რაც დაიდება საადმინისტრაციო წესით „ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულების“ თანახმად, ენერგიის მიმწოდებელი ორგანოების აგენტების მიერ შედგენილი ოქმების მიხედვით;

ბ) საყოფაცხოვრებო მიზნით ელექტროენერგიის მოსარგებლე აბონენტების მიმართ—ჯარიმას 200 მანეთამდე, რაც დაიდება იმავე წესით.

შენიშვნა. ამა მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული გადასახდელი დაედებათ აგრეთვე იმ აბონენტებს, რომელნიც იღებენ ელექტროენერგიას უშუალოდ მაღალვოლტიანი ქსელიდან, უკეთუ ისინი დაარღვევენ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1935 წ. სექტემბრის 21-ს დამტკიცებულ ელექტროენერგიის მოხმარების განაწილებას.

8. უფლება მიეცეს ელექტროენერგიის განმანაწილებელ ორგანიზაციებს—ამა დადგენილების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, მოუსპონ აბონენტებს ენერგიის მიწოდება წყალკლების მთელ პერიოდში.

9. ყოველდღიური კონტროლი ამა დადგენილების აღსრულებისათვის ეკისრება „ა/კენერგოს“ მაღალვოლტიანი ქსელის საქართველოს სამმართველოს და ელექტროენერგიის განმანაწილებელ ორგანიზაციებს.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 21 დადგენილება „ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის დატვირთვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 2, მუხ. 30) გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის თან. დ. ა. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. სექტემბრის 29. № 1351.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 233 №-ში 1935 წ. ოქტომბრის 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

170. დადგენილება ს.კ.ს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმოწყობის ინსტრუქციის გაუქმების შესახებ.

რადგან სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. ივლისის 7-ის თარიღისა და 1385 №-ის დადგენილებით დამტკიცებულია ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო არტელებისათვის მიწის უვადო (სამუდამო) სარგებლობაზე სახელმწიფო აქტების შედგენისა და მიცემის წესის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1935 წ.. 34 №-ი, მუხ. 300), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის ივნისის 7-ის თარიღისა და 727 №-ის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმოწყობის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-19 №-ი, მუხ. 119).

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს საერთო წესით დაუგზავნოს ადგილობრივ ორგანოებს საჭირო დამატებითი მითითებანი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1935 წლის ივლისის 7-ის დამტკიცებული ინსტრუქციისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. სექტემბრის 13. № 1214.

ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება.

171. დადგენილება ს.კ.ს.

1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის დამზადების გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას 1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის დამზადების გეგმა 4.700 ტონის რაოდენობით; აქედან:

კონტრაქტაციით	4.300 ტონა
სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ნატურასასყიდლით	400 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგი განაწილებით რაიონებზე და სექტორებზე (ტონობით)

რ ა ი ო ნ ე ბ ი	კონტრაქტაციით დამზადების გეგმა	ა ქ ე დ ა ნ		ამის გარდა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ნატურასასყიდ.	მთელი გეგმა (ტონობით)
		კოლექტიურ მეურნეობებში	ერთპიროვნულ მეურნეობებში		
ბორჩალოს რაიონი . . .	2.950	2.268	682	301	3.251
ლუქსემბურგის „ . . .	445	202	243	24	469
ყარაიას „ . . .	905	738	167	75	980
სულ . . .	4.300	3.208	1.092	400	4.700

2. დადგენილ იქნას ნედლი ბამბის მოკრეფისა და ჩაბარების შემდეგი თვიური გეგმები:

სექტემბერში არა ნაკლებ წლიური გეგმის 10%-ისა
ოქტომბერში „ „ „ „ . . . . . 50% „
ნოემბერში „ „ „ „ . . . . . 40% „

იმის უზრუნველყოფით, რომ პირველი ხარისხების გამოსავალი იყოს არა ნაკლებ 80%-ისა და მექანიზებული მოკრეფისა—არა ნაკლებ 80 ტონისა ბორჩალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ხაზით.

3. დაევალოს მებამბეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ნედლი ბამბის დამზადების გეგმა დაყონ და მიაწვდინონ ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე.

4. დაევალოს მებამბეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ფართოდ განუმარტონ ყველა მებამბეს, რომ ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმას კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული შრომითი მეურნეობებისათვის შეადგენს 1935 წლის მოსავლით მიღებული ნედლი ბამბის მთელი რაოდენობა, ხოლო არა ნაკლებ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობისა.

5. დაევალოს მებამბეობის რაიონების კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს დაამთავრონ მინდვრად ნედლი ბამბის მოსავლის აღება და დამზადებელ პუნქტებში ჩაბარება 1935 წ. დეკემბრის 1-თვის.

მინდვრებზე ნედლი ბამბის მოსავლის აღება მოწყობილ იქნას ისეთი ვარაუდით, რომ არა უგვიანეს ამა წლის დეკემბრის 10-ისა განთავისუფლებულ იქნას ღეროებისაგან (გუზაპაი) არა ნაკლებ საბამბე ფართობის 75%-ისა მძრალად მოხვნისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს „ზაგოტხლოპპრომის“ რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში მოაწყოს დამზადებულ პუნქტებში და შულავრის ქარხანაში ნედლი ბამბის მიღება, დამზადება, შენახვა, ტრანსპორტირება და გაწმენდა გაცალკევებულად სახესხვაობისა, სამრეწველო ჯიშებისა, კლასებისა და ბოჭკოს სიგრძის მიხედვით, ხოლო სათესლე ნედლეულისა—აგრეთვე ჯიშობრივი სიწმინდის მიხედვით.

7. შემოღებულ იქნას სათესლე ნედლეულის მიღებისა და გაწმენდის შემდეგი წესი ბორჩალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურთან არსებულ ჯინჰაუზე:

ა) ყარაიას რაიონში ნედლი ბამბა კოლექტიური მეურნეობის „ისკრასაგან“ (ელიტა) და ამხ. ბერიას სახელობის კოლექტიური მეურნეობებისაგან (1-ლი რეპროდუქცია) მიიღება ყარაიას შემსყიდველი პუნქტის მიერ ყარაიაში; პარტიები დაიკომპლექტება აპრობაციის ცნობების მიხედვით, ინახება და გადაიზიდება სანდარის სადგურზე სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ჯინჰაუზის მისამართით გაწმენდის გეგმისამებრ;

ბ) ბორჩალოს რაიონში კოლექტიური მეურნეობის „გეხმედისაგან“ (ელიტა) ნედლ ბამბას კოლექტიური მეურნეობა მიზიდავს შულავრის შემსყიდველ პუნქტში სამრეწველო ხარისხისა, წონისა, ბოჭკოს სიგრძისა და ტენიანობის გამოსარკვევად, და ამის შემდეგ კოლექტიური მეურნეობა ნედლეულს მიზიდავს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ჯინჰაუზში.

პასუხისმგებლობა სათესლე ნედლეულის წესიერად დაკომპლექტებისა და ჯინჰაუზში შენახვისათვის ეკისრება ბორჩალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორს.

8. დაევალოს მებამბეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს:

ა) უზრუნველყონ, რათა დამმზადებელ პუნქტებს ჰბარდებოდეს მთლად დღის განმავლობაში მოკრეფილი ბამბა რაიმე დაბრკოლების გარეშე;

ბ) მოაწყონ თვითეული კოლექტიური მეურნეობისა და ერთპიროვნული მეურნეობის მეშვეობით დამზადებული ბამბის აღრიცხვა პრემია-ზედნართის მისაცემად კონტრაქტაციით ბამბის ჩაბარების გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის.

9. აიკრძალოს დამმზადებელ პუნქტებში და ქარხნებში ისეთი ნედლი ბამბის მიღება, რომლის ტენიანობა სტანდარტით განსაზღვრულ ტენიანობას აღემატება.

10. დაევალოს მებამბეობის რაიონების სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და სარაიონო აღმასრლებელი კომიტეტების სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს, კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს, შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნის დირექტორს და ყარიას დამმზადებელი პუნქტის გამგეს:

ა) მოაწყონ ბამბის ნათესის დაცვა გატაცების, გათელვისა და საქონლის მიშვებით წახდენისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველყონ ბამბის მოსავლის სუფთად აღების შემოწმება, რათა იგი არა რჩებოდეს კოლოფებში და არა ცვიოდეს მიწაზე; მოაწყონ, სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების შესაბამისად, ბრიგადისა და უწყებულ ნაკვეთზე მომუშავე რგოლეულის ძალებით მიწაზე ჩამოცვივნული და კოლოფში დატოვებული ბამბის აკრეფა;

გ) ჩაატარონ ბამბის მოსავლის აღება კოლოფების გახსნის თანდათანობით და აწარმოონ მწვავე ბრძოლა მოუმწიფებელი ბამბის მოკრეფასთან;

დ) დამამზადებელ პუნქტებში აწონის დროს დაუყოვნებლივ აკრიფონ ურმებიდან და ფურგონებიდან ჩამოცვივნული და სასწორებთან გაბნეული ბამბა;

ე) შეამოწმონ ბეღლებში და ფარდულებში შენახული ბამბის მდგომარეობა ჭების ამოღებით და თერმომეტრიანი რკინის მილით ტემპერატურის გამოსარკვევად.

11. აეკრძალოთ კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს:

ა) ბამბის მოსავლის აღებისათვის ანგარიშის ნატურად (ბამბით) გასწორება;

ბ) ბაზარში ნედლი ბამბის ან ბამბის შინამრეწველური ნაკეთობის გაყიდვა.

ამ მუხლის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხლის თანახმად.

12. აიკრძალოს ნედლი ბამბის ან ბამბის შინამრეწველური ნაკეთობის რკინის გზით გადაზიდვა ან ფოსტით გაგზავნა ყველა პირისა და ორგანიზაციის მიერ, სახელმწიფო ორგანოების გარდა.

წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველოს და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქ. სსრ ს.კ.ს-თან—შეუთანხმონ სასწრაფო წესით აღნიშნული საკითხი საერთო საკავშირო ორგანოებს.

13. აიკრძალოს რისამე დაჭერა დამამზადებელ პუნქტებში იმ თანხებიდან, რაც მებამბეებს ჩაბარებულ ნედლ ბამბაში ერგებათ, გარდა საკონტრაქტაციო ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად დასაჭერი ფულისა საკონტრაქტაციო ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ავანსების დასაფარავად და კოლექტიური მეურნეობებისათვის მიცემული ბამბის თესლის ღირებულებისა დარიცხული პროცენტებითურთ.

14. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქ. სსრ-ში დააწესოს დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულთა მეშვეობით კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ ნედლი ბამბის ჩაბარების საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა აღსრულების შემოწმება და იხმაროს საჭირო ზემოქმედებითი ღონისძიებანი იმ კონტრაქტანტების

მიმართ, რომელნიც არაკეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებათ.

15. დაეკისროთ შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნის დირექტორს და ყარაიას შემსყიდველი პუნქტის გამგეს პერსონალური პასუხისმგებლობა ჩამბარებლებთან ჩაბარებულ ნედლ ბამბაზე ანგარიშის თავის დროზე დაუცადებლად გასწორებისათვის და მათთვისვე საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის მცენარეული ზეთისა, კოპტონისა და ბამბა-ლინტერის თავის დროზე და დაუცადებლად მიცემისათვის.

16. აიკრძალოს ბამბის დამზადების კამპანიის განმავლობაში ბამბასაწმენდი ქარხნების და დამმზადებელი პუნქტების მომუშავეთა სხვა სამუშაოზე მობილიზაცია.

17. დაევალოთ მებამბეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს ხელი შეუწყონ ბამბასაწმენდ ქარხნებს და დამმზადებელ პუნქტებს კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ წარსულ წელს მთლად დაუბრუნებელი ტარის შეგროვებაში და აგრეთვე იხმარონ ღონისძიებანი კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების საკუთარი ტარის გამოყენებისათვის (ფასით) ბამბის მოსაკრეფად და დამმზადებელ პუნქტებში მისაზიდად.

18. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ოქტომბრის 4-ის დადგენილება „ბამბის ადგილობრივ ჩარჩენასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 25 №-ი, მუხ. 329) გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. ოქტომბრის 3. № 1355.
ტფილისი

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

172. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე კურორტთა სამმართველოს კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაქირავების საფუძვლების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 156 მუხლით დადგენილი წესების გამონაკლისად, ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

1. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე კურორტთა სახლებში საცხოვრებელი სადგომი მიეცემა ცალკეულ დამქირავებლებს საკურორტო სამმართველოს მომუშავეთაგან ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე.

შენიშვნა. ვინაიდან გამოცალკევებელ კურორტ. აბასთუმანში არ არსებობს სხვა საცხოვრებელი ფონდი, გარდა საკურორტო ფონდისა, კურორტის სამმართველოსათვის უცხო დაწესებულებათა მომუშავეების დასაკმაყოფილებლად სადგომების დაქირავების ხელშეკრულებებს სდებენ ეს დაწესებულებანი.

2. ინდივიდუალური ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ვადას, რაც სასეზონო და დროებითი მუშებისათვის უნდა შეესაბამებოდეს იმ ვადას, რა ვადითაც ეს მუშები დაქირავებულ არიან, ხოლო ყველა სხვა კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის უნდა იყოს არა ნაკლებ ერთი წლისა;

ბ) ქირავნობის ხელშეკრულების განგრძობაზე უარისთქმის შესახებ წინასწარ შეტყობინების ვადას; ამასთანავე, ეს ვადა სასეზონო და დროებითი მუშებისათვის უნდა იყოს არა ნაკლებ ორი კვირისა, ხოლო ყველა სხვა კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის—არა ნაკლებ სამი თვისა ქირავნობის ვადის გასვლამდე;

გ) პირობას, რომ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების განგრძობაზე უარისთქმის შემთხვევაში, დამქირავებლის გამოსახლება, ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, არ შეიძლება ნოემბრის 1-დან აპრილის 1-მდე;

დ) პირობას, რომ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების განგრძობაზე უარისთქმის შემთხვევაში უწყებული საკურორტო სამმართველოს სამუშაოდან დამქირავებლის დათხოვნის გამო—შრომის კანონთა კოდექსის 36,37 მუხლებში, 47 მუხლის „ა", „ბ" და „გ" პუნქტებში და 48 მუხლში აღნიშნული საფუძვლების მიხედვით და აგრეთვე ინვალიდობის მიზეზით, დამქირავებელს უნდა მიეცეს სადგომის განთავისუფლებისათვის სამი თვის ვადა შრომის ხელშეკრულების მოშლის დღიდან;

ე) საკურორტო სამმართველოს მიერ გასაწევი კომუნალური მომსახურეობის სასყიდლის რაოდენობას, გასაწევი კომუნალური მომსახურეობის ნორმების აღნიშვნით;

ვ) საკურორტო სამმართველოს მოვალეობათა ფარგლებს—საცხოვრებელი სადგომების მომსახურეობისა და მოვლა-შენახვისა, რემონტის წარმოებისა, საერთო სარგებლობის ადგილების სუფთად შენახვისა და გაწმენდისა, ფეხისალაგების და საპირფარეშოების ამოხვეტისა, იჯარის, სადაზღვეო გადასახდელის და გადასახადების გადახდის სფეროში;

ზ) დამქირავებლის მოვალეობათა ფარგლებს—მის მიერ დაჭერილი სადგომების სუფთად და წესიერად შენახვის სფეროში და დამქირავებლისავე მოვალეობას აანაზღაუროს მისი ბრალით დაზიანებული სადგომის რემონტზე გაწეული ხარჯი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) სასამართლოს წესით დამქირავებლის ვადამდე გამოსახლების შესაძლებლობას, უკეთუ დამქირავებელი არაკეთილსინდისიერად შეასრულებს ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებულ მოვალეობას სადგომის წესიერად შენახვისას ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა მოვალეობას;

ი) დამქირავებლის მოვალეობას—გაანთავისუფლოს დაჭერილი სადგომი ქირავნობის ვადის გასვლისას და ამის თაობაზე მისი წინასწარ გაფრთხილების ვადას;

კ) აუცილებელ აკრძალვას სადგომის სხვა პირებისათვის მიქირავებისას.

შენიშვნა. 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებათა ხელშეკრულებაში გამოცალკევებულ კურორტ აბასთუმნის შესახებ აღნიშნულ უნდა იქნას:

ა) სადგომის ქირავნობის ვადა;

ბ) მხარეთა მოვალეობის ფარგლები საცხოვრებელი სადგომების შენახვის და რემონტისა, საერთო სარგებლობის ადგილთა სუფთად შენახვის და გაწმენდისა, ამოსაწმენდი ორმოების ამოწმენდისა, სადაზღვეო გადასახდელის და გადასახადთა გადახდის სფეროში;

გ) ვადის გასვლისას დაქირავებული სადგომის განთავისუფლების მოვალეობა.

ამ ხელშეკრულებით გაქირავებული სადგომის ქირა გადაიხდევინება იმ განაკვეთების მიხედვით, რაც დადგენილია დაწესებულებათათვის აბასთუმანში.

3. ადგილობრივი საბჭოები მოვალენი არიან მისცენ მუნიციპალური ფონდის სახლებში სადგომები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე კურორტთა სამმართველოს სახლებში საბინაო საცხოვრებლების დამქირავებელთ, უკეთუ ისინი გაანთავისუფლებენ ამ სადგომებს შრომის ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით,—ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის, ხანგრძლივი ავადმყოფობის, ინვალიდობისა და შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების თანახმად შემცირების გამო; ხოლო საცხოვრებელი სადგომის მიუცემლობა ვერ შეაჩერებს გამოსახლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე.

შენიშვნა. დამქირავებლისათვის მისაჩენი ახალი საცხოვრებელი სადგომი უნდა შეესაბამებოდეს საცხოვრებელი ფართობის დადგენილ ნორმებს და სასანიტარო-საჰიგიენო პირობებს; ამასთანავე ეს უკანასკნელი გარემოება, გამოსახლებული პირის მოთხოვნით, უნდა დაამოწმოს სასანიტარო ინსპექციამ.

4. დამქირავებლის გამოსახლება მის მიერ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე კურორტთა სამმართველოს სახლში დაჭერილი სადგომიდან მოხდება სასამართლო წესით, იმ შემთხვევების გარდა, რომლებისთვისაც კანონით დადგენილია საადმინისტრაციო წესი.

5. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა, იუსტიციისა და კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატებთან ერთად, უნდა შეიმუშაოს ამა დადგენილების საფუძველზე ტიპური ხელშეკრულება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე კურორტთა სამმართველოს სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაქირავების შესახებ.

II.

6. ის პირნი, რომელთაც ამა დადგენილების გამოცემის მომენტში უჭირავთ საცხოვრებელი სადგომი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე კურორტთა სამმართველოს სახლებში, როგორც სათანადო საკურორტო სამმართველოს სამსახურში მყოფნი, ისე ამ სამსახურში არამყოფნი, მოვალენი არიან დადვან სათანადო საკურორტო სამმართველოსთან ხელშეკრულებანი ზემოაღნიშნულ პირობებზე მათ მიერ დაჭერილი საცხოვრებელი სადგომების შესახებ; ამასთანავე, ხელშეკრულების ვადა არ შეიძლება იყოს ერთ წელიწადზე ნაკლები, უკეთუ თვით მდგმურნი არ მოისურვებენ დასდვან ხელშეკრულება უფრო მოკლე ვადით.

შენიშვნა. ის მდგმური, რომელმაც არ მოისურვა დასდვას ხელშეკრულება მის მიერ დაჭერილი სახლის შესახებ ამა მუხლში აღნიშნულ პირობებზე, გამოსახლებულ უნდა იქნას სამი თვის ვადაზე საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად. მისი გამოსახლება მოხდება სასამართლო წესით.

7. წინადადება მიეცეს იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, სადაც მუშაობენ ის პირნი, რომელთაც გაწყვიტეს კავშირი საკურორტო სამმართველოსთან, მაგრამ მაინც უჭირავთ საცხოვრებელი სადგომები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე კურორტთა სამმართველოს სახლებში, უზრუნველყონ ეს მომუშავენი სათანადო საცხოვრებელი სადგომებით ამა დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად დადებული ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტისათვის.

შენიშვნა. საცხოვრებელი სადგომის მიუცემლობა ამა მუხლში აღნიშნული ვადისათვის ვერ შეაჩერებს გამოსახლებას ხელშეკრულებაში აღნიშნულ ვადაზე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. **თ. ყლენტი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **ვ. ვაშაკიძე.**

1935 წ. სექტემბრის 16. № 77/1347.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლება

173. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

741.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული, 1934 წ. მაისის 14-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ ლიტერას (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-12 №-ი, მუხ. 122 და 1935 წ. მე-7 №-ი, მუხ. 40) დაემატოს მე-6 და 7 პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

[დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის შემდეგი სტრუქტურა: ა. სამმართველოები:.....]

„6) სასკოლო მშენებლობის სამმართველო;

7) საბავშვო სახლთა ხელმძღვანელობის სამმართველო“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მაგ. **თ. ყლენტი.**

საქ. სსრ სკს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **ვ. ვაშაკიძე**

1935 წ. სექტემბრის 16. № 76/1089.

ტფილისი.

ჯანმრთელობის დაცვა

174. დადგენილება ს.კ.ს.

921.1

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო სამედიცინო გამომცემლობის—„სახმედგამის“—დაარსების ნებართვის მიცემის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დაარსოს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამედიცინო გამომცემლობა—„სახმედგამი“.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დაამტკიცოს სახელმწიფო სამედიცინო გამომცემლობის წესდება და განსაზღვროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ამ გამომცემლობის საწესდებო კაპიტალი.

3. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წლის მაისის 31-ს დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამომცემლობის შესახებ (საქ. სსრ-ის კან. კრ. 1927 წ. მე-5 №-ი, მუხ. 86).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. სექტემბრის 13. № 1213.
ტფილისი.

---

175. დადგენილება ს.კ.ს.

მედიკამენტების ვაჭრობის შესახებ.

921.1

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მედიკამენტების ვაჭრობის შესახებ“ 1935 წლის ივლისის 2-ის თარიღით და 1348 №-ით, „ძირითადი წამლეული და სააფთიაქო საქონლის ფასების პრეისკურანტის შესახებ“ 1935 წლის აგვისტოს 15-ის თარიღით და 1807 №-ით და „მედიკამენტების, სახვევი მასალის და ავადმყოფთა მოსავლელი საგნების ბითუმად გაყიდვის შესახებ“ 1935 წლის აგვისტოს 17-ის თარიღით და 1819 №-ით გამოცემული დადგენილებების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნას სამოქმედოდ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935 წლის ოქტომბრის 1-დან ძირითადი წამლეული და სააფთიაქო საქონლის ფასების სააფთიაქო პრეისკურანტი, რაც დამტკიცებულია რსფსრ-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ 1935 წლის აგვისტოს 18-ს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ახალი პრეისკურანტის სამოქმედოდ შემოღების მომენტისათვის მოახდინოს საქონლის სრული ინვენტარიზაცია აფთიაქებსა და მაღაზიებში; ამასთან, შეაფასოს ეს საქონელი აღნიშნული პრეისკურანტის ფასების მიხედვით.

3. ახალი პრეისკურანტის სამოქმედოდ შემოღებისას, რომლითაც წამლეული და სააფთიაქო საქონლის ფასები თვალსაჩინოდ შემცირებულია, დაწესებულ იქნას აფთიაქებიდან წამლის სასყიდლით მიცემა ავადმყოფებისათვის შინ მოსახმარებლად და დატოვებულ იქნას უსასყიდლო მომსახურეობა წამლებით სამკურნალო დაწესებულებებში: საავადმყოფოებსა, ამბულატორიებსა, პოლიკლინიკებში და სხვ., პროფილაქტიურ ღონისძიებებისათვის: ქინიზაცია მალარიასთან ბრძოლის დროს, საპროფილაქტიკო და სამკურნალო აცრა და სხვ. და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დროს სახლში.

4. წამლეული და სხვა სააფთიაქო საქონელი სამკურნალო დაწესებულებებს რეცეპტებით მიეცემათ ახალი სააფთიაქო პრეისკურანტის ერთიანი ცალობითი ფასებით.

5. მედიკამენტები, სახვევი მასალა და ავადმყოფთა მოსავლელი საგნები სამკურნალო დაწესებულებებს მიეცემა ბითუმად სააფთიაქო სამმართველოების მეშვეობით მრეწველობის საგასაცემო ფასებით, ხოლო ამ ფასს სააფთიაქო სამმართველოს ყველა ხარჯის დასაფარავად დაერიცხება 10% მსხვილი სამედიცინო გაწყობილობის საგნებისათვის, რომელთა ღირებულება 1.000 მანეთს აღემატება, და 20% ყველა დანარჩენი საგნებისათვის.

6. სახლში წამლეულით უსასყიდლო მომსახურეობისათვის 1935 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები გამოყენებულ იქნას იმისათვის, რომ დაიფაროს სამკურნალო დაწესებულებათა გადამეტნახარჯი სამედიკამენტო დახმარების საქმეში, ახალი ნიხრის შემოღებასთან დაკავშირებით, და რომ გაუმჯობესდეს წამლეულით დახმარება სამკურნალო დაწესებულებებში.

7. წამლეული და სხვა სააფთიაქო საქონელი მოსახლეობას სასყიდლით მიეცემა უშუალოდ სააფთიაქო სამმართველოების აფთიაქებიდან და სანჰიგიენის მაღაზიებიდან.

8. სოფლად, სადაც სააფთიაქო სამმართველოს აფთიაქი არ არსებობს, დაწესებულ იქნას მოსახლეობისათვის წამლეულის სასყიდლით მიცემა სამკურნალო დი საფერშლო პუნქტების აფთიაქებიდან შემდეგი ფასებით: მზა წამალი —იმ ფასით, რაც სააფთიაქო სამმართველოს აფთიაქს აღნიშნული აქვს ამ წამლის საფუთავზე, და სამკურნალო და საფერშლო პუნქტის აფთიაქში დამზადებული წამალი—50 კაპ. ოვითეული წამალი. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს სია წამლების ფორმებისა და სხვა სააფთიაქო საქონლისა, რაც გაყიდულ უნდა იქნას სამკურნალო და საფერშლო პუნქტებში.

9. მედიკამენტების და სხვა სააფთიაქო საქონელს მოსახლეობისათვის მისაყიდად სამკურნალო და საფერშლო პუნქტებიდან ეს უკანასკნელნი იყიდიან სააფთიაქო სამმართველოს უახლოეს აფთიაქში ახალი სააფთიაქო პრეისკურანტის ცალობითი ფასებით. ამასთანავე, აფთიაქი ვალდებულია მისცეს სამკურნალო დაწესებულებას %-გასამრჯელო მედიკამენტების ვაჭრობის ხარჯების დასაფარავად ბრუნვის თანხის 10%-ის რაოდენობით.

10. დაეკისროს სააფთიაქო სამმართველოებს წამლეულის და სააფთიაქო საქონლის მოვაჭრე ყველა ორგანიზაციების რეგისტრაცია და აგრეთვე კონტროლის გაწევა იმისათვის, რომ ამ ორგანიზაციებმა დაიცვან ვაჭრობისათვის დადგენილი წესები და ფასები.

11. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს —გადასინჯოს სააფთიაქო სამმართველოების აფთიაქების ქსელი დეფიციტიანი აფთიაქების გამოსარკვევად და მათ გასაუქმებლად ისე, რომ წამლების მიცემა მოსახლეობისათვის დაეკისროს სათანადო სამკურნალო და საფერშლო პუნქტებს.

12. მედიკამენტების ვაჭრობის ახალი წესის შემოღებისას შეწყდეს ჯანმრთელობის ორგანოებისა და ცალკეული სამკურნალო დაწესებულებებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამლეულის ნისიად მიეცემა (ბითუმად და ცალობით). ყოველინირი ანგარიში გასწობულ უნდა იქნას დაუყოვნებლივ (ნაღდი ფულით, გადარიცხვით, აკრედიტივით).

13. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაფარონ დავალიანება სააფთიაქო სამმართველოების მიმართ არა უგვიანეს 1935 წლის ნოემბრის 1-ისა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. სექტემბრის 15. № 1244.

ტფილისი.

სოციალური უზრუნველყოფა

176. დადგენილება ს.კ.ს

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სასწავლო-წარმოებრივ საწარმოთა და წარმოებრივ საწარმოთა სამმართველოს ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სასწავლო-წარმოებრივ საწარმოთა და წარმოებრივ საწარმოთა სამმართველო ლიკვიდირებულ იქნას.

2. დაებრუნოს ომის ინვალიდთა სრულიად საქართველოს საზოგადოებას გადაცემის დღისთვის არსებული აქტივის და პასივის ბალანსით:

ა) საგურამოს საბჭოთა მეურნეობა;

ბ) საკონფექტო ფაბრიკა ტფილისში (მაღაზიითურთ);

გ) შეშის დამზადებანი ფოთის რაიონში.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს—სასწავლო-წარმოებრივ საწარმოთა და წარმოებრივ საწარმოთა სამმართველოს საქმისა და ქონების ლიკვიდაციისათვის მოაწყოს ლიკვიდაციო კომისია საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის მონაწილეობით.

4. ლიკვიდაცია დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს 1935 წ. აგვისტოს 1-ისა.

5. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობას—შეიმუშაოს 2 დეკადის ვადაზე, საქართველოს სსრ სოციალური

ვ) იმპერიალისტური ომის ინვალიდებს, რომლებიც ამა დებულების გამოცემის მომენტისათვის იმყოფებიან სახელმწიფოებრივ უზრუნველყოფაზე, და აგრეთვე იმპერიალისტური ომის იმ ინვალიდებს, რომლებიც გამოვიდნენ ინვალიდთა კოოპერაციის არტელებიდან ან დაკარგეს სხვა შრომითი საშოვარი შრომის უნარის სრულიად დაკარგვის გამო;

ზ) გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახის წევრებს;

თ) ამა მუხლის „ა"—„ვ" პუნქტებში აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრებს, ხსენებულ პირთა გარდაცვალების ან უგზო-უკლოდ დაკარგვის შემთხვევაში; ამასთანავე, „ბ" და „გ" პუნქტებში აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრებს უზრუნველყოფის უფლება აქვთ იმ შემთხვევაში, უკეთუ აღნიშნული პირები თვით იყვნეს სოციალური უზრუნველყობის პენსიონერები სიცოცხლის დროს ან უგზო-უკვლოდ დაკარგავმდე.

შენიშვნა. 1-ლი მუხლის „ბ"—„ე" პუნქტებში აღნიშნულ პირებს ამა დებულების თანახმად უზრუნველყოფის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ არა აქვთ უზრუნველყოფის უფლება სხვა საფუძველზე.

2. იმ პირთ, რომელთაც უზრუნველყოფის უფლება აქვთ, როგორც ამა დებულების, ისე სხვა საფუძველზე, შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ ერთი პენსია თავისი არჩევით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი იღებენ დამატებითს პენსიას ან დახმარებას საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებიდან: ინვალიდთა კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროდან, კოლექტიური მეურნეობების საურთიერთო საზოგადოებრივი დახმარების სალაროებიდან, გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტიდან და სხვა მისთ.

3. იმ პირთ, რომელთაც ჩამოერთვათ საარჩევნო უფლება, არა აქვთ უზრუნველყოფის უფლება ამა დებულების წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარჩევნო უფლება ჩამორთმე ულია სულით ავადმყოფად ცნობის გამო.

4. ოჯახის წევრებად, რომლებიც უზრუნველყოფილუნდა იქნან ამა დებულების წესით, ითვლებიან:

ა) შვილები, ძმები და დები 15 წლის ასაკამდე, ხოლო ისინი, ვინც სასწავლებლებში სწავლობენ—18 წლის ასაკის მიღწევამდე;

ბ) შრომაუუნარო შვილები, ძმები და დები 16 წლის ასაკზე უფროსნი, რომელთაც დაკარგეს შრომის უნარი 16 წლის ასაკის მიღწევამდე;

გ) შრომაუუნარო მშობლები ან ის მშობლები და მათი მონაცვლე პირნი, რომელთაც მიაღწიეს ზღვრულ ასაკს, სახელდობრ: ქალი—55 წლისა და მამაკაცი 60 წლისა;

დ) შრომაუუნარო მეუღლე ან ის მეუღლე, რომელმაც მიაღწია „გ" პუნქტში აღნიშნულ ასაკს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) „გ“ და „დ“ პუნქტებში ჩამოთვლილი პირნი, რომელნიც თუმცა შრომაუნარიანი არიან, მაგრამ თავისთან ჰყავთ რვა წლის ასაკამდე მიუღწეველი ბავშვები.

5. მე-4 მუხლში ჩამოთვლილი ოჯახის წევრები უზრუნველყოფილ უნდა იქნან იმ შემთხვევაში, უკეთუ ისინი იმყოფებოდენ გარდაცვალებულ ან უგზოუკვლოდ დაკარგული მარჩენალის რჩენაზედ და უკეთუ მათ არ მოეპოებათ საკმაო სახსარი არსებობისათვის.

6. იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვს დაკარგული შრომის უნარი ინვალიდს და რა სახის მუშაობის შესრულებაც მას შეუძლია, დაწესებულია შემდეგი სამი ჯგუფი ინვალიდობისა:

პირველი ჯუფიის პირნი, რომელთაც სრულიად დაკარგეს შრომის უნარი და საჭიროებენ სხვის მომსახურეობას;

მეორე ჯგუფი—ის პირნი, რომელთაც სრულიად დაკარგეს პროფესიონალური შრომის უნარი, როგორც თავის პროფესიაში, ისე სხვა რაიმე პროფესიაში.

მესამე ჯგუფი—ის პირნი, რომელთაც დაკარგეს სისტემატური შრომის უნარი თავის პროფესიაში ამ პროფესიისათვის მუშაობის ჩვეულებრივ პირობებში, მაგრამ თავისი დარჩენილი შრომის უნარი შეუძლიათ გამოიყენონ: ა) ან არარეგულარულ სამუშაოზე, ბ) ან შემოკლებულ სამუშაო დღეში, ან სხვა შემსუბუქებული მუშაობის პირობებში, გ) ან სხვა პროფესიაში—კვალიფიკაციის თვალსაჩინო შემცირებით.

იმ პირთ, რომელნიც მიკუთვნებულ არ არიან ინვალიდობის ზემოხსენებულ სამ ჯგუფს შორის არც ერთი ჯგუფისათვის, უზრუნველყოფის უფლება აქვთ მხოლოდ საშრომო მოწყობის სახით, უკეთუ მათ შესახებ არის შრომის საექიმო-საექსპერტო კომისიის დასკვნა, რომ მათი შრომაუნარიანობა რამოდენადმე შემცირებულია და ეს შემცირება მყარი ხასიათისაა, ხოლო იგი არ საჭიროებს გარდაკვალიფიკაციებას ან პროფესიის შეცვლას, ან და უკეთუ არის დასკვნა, რომ ისინი საჭიროებენ შრომის შემსუბუქებულ პირობებს.

შენიშვნა. ის ინვალიდები, რომლებიც ყოფილი საექიმო-საექსპერტო კომისიების მიერ მიკუთვნებული არიან ინვალიდობის 4-6 ჯგუფებისათვის და იმყოფებიან ინვალიდების კოოპერატიული შენაერთების (არტელების) წევრებად, ინარჩუნებენ უფლებას იმუშავონ ინვალიდთა კოოპერატიულ არტელებში მათი ინვალიდი-წევრების უფლებებით.

7. შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის გამოსარკვევად ჩასატარებელ საექიმო შემოწმებას აწარმოებენ შრომის საექიმო საექსპერტო კომისიები.

საექიმო შემოწმების პირობები და წესი განისაზღვრება საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სპეციალური ინსტრუქციებით.

8. სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა სწარმოებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ საპენსიო თანხები მოთხოვნილი არ არის ერთ წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში ერთი-ერთმანეთზე, იგი გაიცემა მხოლოდ უკანასკნელი 12 თვისათვის.

18. ამა დებულებით გათვალისწინებულ პირთ აქვთ უფლება უსასყიდლოდ მიიღონ ყოველგვარი სამედიცინო დახმარება ჯანმრთელობის საერთო და სპეციალურ დაწესებულებებში პირველ რიგში, დაზღვეულთა თანაბრად, ხოლო მათი ოჯახის წევრებს—დაზღვეულთა ოჯახის წევრების თანაბრად. საპროტეზო დახმარება ამ პირთ ეძლევათ უსასყიდლოდ.

19. ინსტრუქციას ამა დებულების შესაფარდებლად გამოსცემს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

178. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერებით კოლექტიური მეურნეობების წინააღმდეგ გადახდევინების გაუქმების შესახებ.

„კოლექტიურ მეურნეობებში ფინანსებისა და აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 27-ის დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. მე-16 №-ი, მუხ. 125), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 115) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. კოლექტიურ მეურნეობათა ვალდებულებებზე სააღსრულებო წარწერები არ გაიცემა“.

II.

ამა დადგენილების 1-ლ კართან დაკავშირებით დაწესებულ იქნას:

1) რომ კოლექტიურ მეურნეობათა ვალდებულებებზე 1927 წ. მარტის 27-მდე გაცემული სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერები, რაც ჯერ კიდევ აღსრულებული არ არის, წარდგენილ უნდა იქნას სასამართლოში ან არბიტრაჟში, კუთვნილებისამებრ, რომლებიც განიხილავენ ამ საქმეებს სარჩელის წესით;

2) რომ სახელმწიფო ბაჟი, რაც უკვე გადახდილია სააღსრულებო წარწერის გაცემის დროს მოქმედი კანონის შესაბამისად, საქმეებზე მეორეჯერ არ გადაიხდევინება:

3) რომ ხანდაზმულობის ვადა ამ საქმეებზე შეწყვეტილად ითვლება სააღსრულებო წარწერის გაცემის გამო.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. **თ. ულენტი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **ვ. ვაშაკიძე.**

1936 წ. სექტემბრის 16. № 72/109.
ტფილისი.

შ ე ს წ ო რ ე ბ ა

კან. გრ. №	გვ.	სტრიქ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
23	424	12	205-2	205[1]
		16	ივნისის	ივლისის

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 56. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1½ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 10/X; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XI; ტირაჟი 1.800
თავლ. რწმ. № 87018 საქ. სახკომსაბჭოს სტამბა შეკვ. № 1320